

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №140

2015 წლის 24 დეკემბერი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების
შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №58
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის
მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 დეკემბრის №58 დადგენილებაში
(www.matsne.gov.ge, 30.12.2014 წ., 190020020.35.160.016268) შევიდეს ცვლილება და დადგენილების 1-
ლი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით მაღლაკელიძე

დანართი

თავი I

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	43,574.9	35,142.4	37,964.1	30,206.3	7,757.9
გადასახადები	10,938.5	7,003.7	9,026.5	9,026.5	0.0
გრანტები	28,156.0	22,894.9	24,391.7	16,633.8	7,757.9
სხვა შემოსავლები	4,480.4	5,243.9	4,546.0	4,546.0	0.0
ხარჯები	26,363.4	29,278.5	33,473.1	31,953.2	1,519.9
შრომის ანაზღაურება	4,043.6	4,502.1	3,746.4	3,746.4	0.0
საქონელი და მომსახურება	7,033.1	6,933.6	4,213.3	4,213.3	0.0
პროცენტი	668.4	581.2	495.3	495.3	0.0



სუბსიდიები	7,160.3	8,086.3	16,303.5	16,303.5	0.0
გრანტები	0.0	0.0	1,187.5	1,187.5	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,263.0	4,248.6	3,351.0	3,351.0	0.0
სხვა ხარჯები	4,195.0	4,926.8	4,176.2	2,656.3	1,519.9
საოპერაციო სალდო	17,211.5	5,863.9	4,491.0	-1,747.0	6,238.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,897.1	7,680.2	10,188.8	2,050.5	8,138.4
ზრდა	8,615.1	8,776.0	11,336.8	3,198.5	8,138.4
კლება	718.0	1,095.8	1,148.0	1,148.0	0.0
მთლიანი სალდო	9,314.3	-1,816.3	-5,697.8	-3,797.4	-1,900.4
ფინანსური აქტივების ცვლილება	8,429.0	-2,756.3	-6,816.1	-4,814.2	-2,001.9
ზრდა	10,044.8	6,818.6	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	10,044.8	6,818.6	0.0		
კლება	1,615.9	9,574.9	6,816.1	4,814.2	2,001.9
ვალუტა და დეპოზიტები	1,615.9	9,574.9	6,816.1	4,814.2	2,001.9
ვალდებულებების ცვლილება	-885.4	-940.0	-1,118.3	-1,016.8	-101.5
კლება	885.4	940.0	1,118.3	1,016.8	101.5
საშინაო	885.4	940.0	1,118.3	1,016.8	101.5
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	44,292.9	36,238.2	39,112.1	31,354.3	7,757.9
შემოსავლები	43,574.9	35,142.4	37,964.1	30,206.3	7,757.9



არაფინანსური აქტივების კლება	718.0	1,095.8	1,148.0	1,148.0	0.0
გადასახდელები	35,863.9	38,994.5	45,928.2	36,168.5	9,759.7
ხარჯები	26,363.4	29,278.5	33,473.1	31,953.2	1,519.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	8,615.1	8,776.0	11,336.8	3,198.5	8,138.4
ვალდებულებების კლება	885.4	940.0	1,118.3	1,016.8	101.5
ნაშთის ცვლილება	8,429.0	-2,756.3	-6,816.1	-4,814.2	-2,001.9

მუხლი 3. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 37,964.1 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	43,574.9	35,142.4	37,964.1	30,206.3	7,757.9
გადასახადები	10,938.5	7,003.7	9,026.5	9,026.5	0.0
გრანტები	28,156.0	22,894.9	24,391.7	16,633.8	7,757.9
სხვა შემოსავლები	4,480.4	5,243.9	4,546.0	4,546.0	0.0

მუხლი 4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 9,026.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
გადასახადები	10,938.5	7,003.7	9,026.5
ქონების გადასახადი	10,938.7	7,003.6	9,026.5
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	8,962.1	4,434.7	7,212.3
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)		0.4	4.2
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	86.9	128.2	130.0
სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	61.0	77.8	0.0
არასასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,827.1	2,361.3	1,680.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1.6	1.3	0.0



სხვა გადასახადები	-0.2	0.0	0.0
-------------------	------	-----	-----

მუხლი 5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 24,391.7 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
გრანტები	28,156.0	22,894.9	24,391.7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	15.1	39.5	0.0
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	28,140.9	22,855.4	24,391.7
გათანაბრებითი ტრანსფერი	13,863.6	15,189.4	16,133.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	489.0	490.0	500.0
სპეციალური ტრანსფერი	13,788.3	7,176.0	7,757.9
მ.შ. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	0.0	0.0	30.0
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	13,788.3	7,176.0	7,727.9

მუხლი 6. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4,546.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	4,480.4	5,243.9	4,546.0
შემოსავლები საკუთრებიდან	853.5	1,192.4	775.0
პროცენტები	729.8	1,052.4	600.0
დივიდენდები	27.2	34.3	35.0
რენტა	96.6	105.7	140.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	70.7	73.7	60.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	25.9	32.1	80.0
საქონელი და მომსახურების რეალიზაცია	2,183.5	2,618.9	2,311.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2,126.7	2,564.6	2,261.0
სანებართვო მოსაკრებელი	123.7	105.1	100.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.1	0.2	0.0



სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.0	3.6	1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1,008.3	1,435.5	1,200.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	991.6	1,020.3	960.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.1	0.0	0.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	56.8	54.3	50.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	56.8	54.3	50.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,148.4	1,094.3	1,100.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	295.0	338.2	360.0

მუხლი 7. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 33,473.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	26,363.4	29,278.5	33,473.1	31,953.2	1,519.9
შრომის ანაზღაურება	4,043.6	4,502.1	3,746.4	3,746.4	0.0
საქონელი და მომსახურება	7,033.1	6,933.6	4,213.3	4,213.3	0.0
პროცენტი	668.4	581.2	495.3	495.3	0.0
სუბსიდიები	7,160.3	8,086.3	16,303.5	16,303.5	0.0
გრანტები	0.0	0.0	1,187.5	1,187.5	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,263.0	4,248.6	3,351.0	3,351.0	0.0
სხვა ხარჯები	4,195.0	4,926.8	4,176.2	2,656.3	1,519.9

მუხლი 8. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 10,188.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11,336.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი	სახელმწიფო ბიუჯეტის



					შემოსავლები	ფონდები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	139.5	31.7	462.3	462.3	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	28.6	18.8	27.3	27.3	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	7,118.1	6,515.8	8,762.5	1,629.4	7,133.1
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	0.0	1,019.9	616.2	306.2	310.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,320.5	1,189.9	1,461.8	766.6	695.2
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	8.4	0.0	6.7	6.7	0.0
სულ ჯამი		8,615.1	8,776.0	11,336.8	3,198.5	8,138.4

ბ) განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 1,148.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	718.0	1,095.8	1,148.0
ძირითადი აქტივები	76.4	72.3	48.0
არაწარმოებული აქტივები	641.6	1,023.5	1,100.0
მიწა	641.6	1,023.5	1,100.0

მუხლი 9. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა		
				სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6,979.1	7,486.6	7,038.4	7,038.4	0.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების სამიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6,177.9	6,638.1	6,273.3	6,273.3	0.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი	6,177.9	6,638.1	6,072.2	6,072.2	0.0



	ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა					
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	201.1	201.1	0.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	132.8	267.3	269.8	269.8	0.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	132.8	267.3	269.8	269.8	0.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	668.4	581.2	495.3	495.3	0.0
702	თავდაცვა	292.5	317.0	306.6	306.6	0.0
7021	შეიარაღებული ძალები	292.5	317.0	306.6	306.6	0.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	987.4	1,050.4	1,218.3	1,218.3	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	9.9	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	977.5	1,050.4	1,218.3	1,218.3	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	6,449.2	6,630.3	5,963.8	748.0	5,215.7
7045	ტრანსპორტი	6,445.0	6,627.3	5,906.1	690.4	5,215.7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	6,445.0	6,627.3	5,906.1	690.4	5,215.7
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	4.1	3.0	57.6	57.6	0.0
70474	მრავალმიზნობრივი განვითარების პროექტები	4.1	3.0	57.6	57.6	0.0
705	გარემოს დაცვა	2,604.5	2,602.4	4,437.5	2,649.3	1,788.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	2,494.0	2,565.8	3,465.0	2,633.4	831.6
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0.0	18.2	972.5	16.0	956.6
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	110.5	18.4	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	7,550.8	5,160.0	9,047.4	7,428.3	1,619.1
7061	ბინათმშენებლობა	4,367.5	2,298.8	4,164.8	2,675.0	1,489.9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	830.4	361.4	829.8	829.8	0.0
7064	გარე განათება	1,113.4	1,070.9	1,207.7	1,078.5	129.2
7066	სხვა არკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,239.4	1,428.9	2,845.1	2,845.1	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	215.0	215.0	215.0	215.0	0.0



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	215.0	215.0	215.0	215.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4,367.3	5,737.1	6,856.8	6,161.6	695.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2,637.9	3,033.1	3,458.6	2,763.3	695.2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1,554.5	2,490.7	3,155.2	3,155.2	0.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	174.9	213.3	243.1	243.1	0.0
709	განათლება	2,979.4	5,840.0	6,017.7	5,707.7	310.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,967.8	5,840.0	6,016.2	5,706.2	310.0
7092	ზოგადი განათლება	11.6	0.0	1.5	1.5	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	11.6	0.0	1.5	1.5	0.0
710	სოციალური დაცვა	2,553.4	3,015.8	3,708.5	3,678.5	30.0
7101	ავადმყოფთა დაშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	681.1	633.0	696.0	696.0	0.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	516.6	597.6	600.0	600.0	0.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	164.5	35.5	96.0	96.0	0.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1,094.1	1,256.4	1,327.9	1,327.9	0.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	18.7	20.2	21.3	21.3	0.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	139.9	195.8	216.4	216.4	0.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	60.3	23.0	0.0	0.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	559.2	887.4	1,446.8	1,416.8	30.0
სულ		34,978.5	38,054.5	44,809.9	35,151.7	9,658.2

მუხლი 10. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (-5,697.8) ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (-



6,816.1) ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 6,816.1 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-1,118.3) ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტებში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გასასტუმრებელი ვალდებულებები შედგენს 1,118.3 ათასი ლარს, კერძოდ:

- გზების რეაბილიტაცია – 653.6 ათასი ლარი;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები ურნების შეძენა – 36.4 ათასი ლარი;
- რუსთავის ნაგავსაყრელის მშენებლობისათვის აღებული ვალდებულებები – 286.7 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი – 1.8 ათასი ლარი;
- წინა წლის დავალიანებების დაფარვა (ადგილობრივი სახსრები) – 36.8 ათასი ლარი;
- წინა წლის დავალიანებების დაფარვა (სპეციალური ტრანსფერი) – 101.5 ათასი ლარი;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის ფარგლებში წინა წლის დავალიანებების დაფარვა (ადგილობრივი სახსრები) – 1.4 ათასი ლარი.

მუხლი 13. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 200.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 512.9 ათასი ლარი, მიიძღრათ:

ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 306.6 ათასი ლარი;

ბ) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 201.8 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 4.5 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

თავი II

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად მნიშვნელოვანია სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად, რისთვისაც აუცილებელია



შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. რუსთავში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მათი ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რომელიც ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქ. რუსთავში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

2.1.1. გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში არსებული შიდაგზების, ეზოებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და გზების ორმული დამუშავება.

2.1.2. ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში გზების დახაზვა და საგზაო ნიშნების მოწყობა.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

2.2.1. საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია; ასევე დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. ამხანაგობები მოსახლეობის ჩართულობის



პრინციპით განხორციელებენ მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სხვადასხვა კომუნალური პირობების მოწესრიგებას.

2.2.2. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯი, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში სანათი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

2.2.3. დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ მეშვეობით, რომელიც ასევე უზრუნველყოფს მაწანწალა ძაღლების (რომლებიც სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენენ) დაჭერა და გადაყვანა თავშესაფარში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მათი სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქცინაცია, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. გათვალისწინებულია ნაგავსაყრელის ორი კვარტალის ხარჯების დაფინანსება (იმ შემთხვევაში, თუ გაჭიანურდა სამინისტროს ადმინისტრირებაში გადაცემის პროცედურები) რათა იფუნქციონიროს სრული დატვირთვით, რაც შეინარჩუნებს ქალაქის სანიტარიულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. გარდა ამისა, მოხდება ქალაქისათვის ახალი ნაგვის შემკრები კონტეინერების შეძენა.

2.2.4. წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მშვიდობის, ტაბიძის, დადიანისა და სანაპიროს ქუჩებზე, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილზე, გორის ქუჩისა და ყაზბეგის I შესახვევის გადაკვეთაზე სანიაღვრე ქსელების მოწყობა.

2.2.5. ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „უზრუნველყოფის“ პროგრამა, რაშიც გათვალისწინებულია არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, შადრევნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ასევე ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტი, რომელიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება თვითმმართველი ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით; ასევე ზემოხსენებული ააიპ-ი განხორციელებს ქალაქის გარე განათების მოვლა-პატრონობას.

2.3. ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია.

2.3.1. სკვერების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების, მემორიალებისა და ძეგლების მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის მშენებარე არქივის შენობის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია.

2.3.2. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქალაქის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობაა, რომელიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის



პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის მიზანი ამ შემთხვევაში შენობების ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნებაა, რა დროსაც არსებული სარემონტო სამუშაოებით ხდება უფრო მეტი დაზიანებისა და შესაბამისად მეტი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება; ასევე დაგეგმილია ყაზბეგის №1-ის ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოები, რჩეულიშვილის №6^ბ-ში სახლის ტკეჩისკედლებიანი ფასადის გამაგრება/რეაბილიტირება, კონსტიტუციის ქ. №19-ში სტიქიის შედეგად დაზიანებული აივნის რეაბილიტაცია, გიორგაძის №26 საცხოვრებელი სახლის ფასადისა და დაზიანებული მიწენების რეაბილიტაცია, რამდენიმე საცხოვრებელ კორპუსზე და მერიის შენობაზე პანდუსის მოწყობა, მესხიშვილის №6-ში და თოდრიის მე-2 ჩიხის №3-ში დაზიანებული ღია აივნების რეაბილიტაცია, ასევე საცხოვრებელ კორპუსებში დაზიანებული სანაგვე ბუნკერების რეაბილიტაცია, ბათუმის №36-ში ფასადის უკანა კედლის რეაბილიტაცია და მერიის შენობაში დაცვის პოლიციისათვის განკუთვნილი ოთახის რემონტი.

2.3.3. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03 06)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.3.4. ენერგოეფექტურობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 07)

პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტსა და ასოციაცია „უკრაინის ენერგოეფექტურ ქალაქების“ შორის 2011 წლის 2 მაისს გაფორმებული მერების შეთანხმების ფარგლებში 2020 წლისათვის რუსთავის ტერიტორიაზე CO₂ ემისიის შემცირება, რითაც დაიზოგება შენობიდან სითბოს გადინება და ამავე დროს შემცირდება ელ. ენერგიის მოხმარება.

2.4. მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 03 04)

ქალაქში კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 250 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ ბავშვების რაოდენობა გაიზრდება.

3.2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 02)



პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 140 ბენეფიციარი.

3.3. ზოგადი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქ რუსთავში არსებულ საჯარო/კერძო სკოლებში რიცხული მოსწავლეების განათლების მიღების უზრუნველყოფა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის და კლუბის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

4.1.1. სასპორტო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300-ზე მეტ სპორტსმენს; გაერთიანება მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

4.1.2. სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „რაგბის კლუბი რუსთავის ხარებისა“ და შპს „საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991“-ის ფინანსურ მხარდაჭერას.

4.1.3. სპორტული და საბავშვო ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია და ასევე განხორციელდება ქიმიკოსთა სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული დაწესებულების ფინანსური მხარდაჭერა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება საახალწლოდ ქალაქის გაფორმებისათვის საჭირო ხარჯები და სადღესასწაულო დღეებისათვის საჩუქრების შეძენა და საცეკვაო ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის „GlobalGathering“-ის დაფინანსება.

4.2.2. სახელოვნებო სკოლები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო



გაერთიანებისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს 3 მუსიკალურ და 1 ხელოვნების სკოლას, თითოეულში სწავლობს 200-ზე მეტი მოსწავლე; ასევე ზემოხსენებული ააიპ-ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობას; ასევე ფინანსდება 1 სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 70-მდე მოსწავლე.

4.2.3. კულტურის სახლები (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

- ააიპ „გ. ლორთქიფანიძის სახ. რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ყველა თაობის ნიჭიერ შემოქმედთა ხელშეწყობა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, პოპულარიზაცია, ტრადიციების აღორძინება; გაამძაფროს საზოგადოების ინტერესი თეატრალური ხელოვნებისადმი და მოიზიდოს ყველა თაობის მაყურებელი.
